




KA021704344760916

სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ. ჭოველიძის ქ. 10ა

10a T.Chovelidze Str., 0108 Tbilisi, Georgia

N5/42399

16 / აგვისტო / 2016 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 25.07.2016წ. №3676/07 წერილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N22.31.04.185; N22.31.01.800; N21.08.36.298; N21.01.37.367 და N21.06.34.391) არსებული არა წითელი წუსხის სახეობის ხე-მცენარეების მოჭრაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 11.08.2016წ. N01-10/3290 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N22.31.04.185; N22.31.01.800; N21.08.36.298; N21.01.37.367 და N21.06.34.391) თქვენი საქმიანობის შეუფერხებლად ჩატარებასთან დაკავშირებით განახორციელოთ მხოლოდ არაწითელი სახეობის მინიმალური რაოდენობის ხე-მცენარეების მოჭრა-ფორმირება, ბუჩქნარის და მოზარდ აღმონაცენის გაკაფვის სამუშაოები, ქედისა და ხელგაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებებთან შეთანხმებით.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N22.31.04.185; N22.31.01.800; N21.08.36.298; N21.01.37.367 და N21.06.34.391) არსებული არა წითელი წუსხის სახეობის ხე-მცენარეების მოჭრა-ფორმირების, ბუჩქნარის და მოზარდ აღმონაცენის გაკაფვის სამუშაოების ჩატარების შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოემყვას რაიმე სახის ვალდებულება.

ასევე გაცნობებთ, რომ მოჭრილი ხე-მცენარეების დასაწყობება უნდა განახორციელოთ სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

გიგზავნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 11.08.2016წ. N01-10/3290 წერილს.

დანართი: 1 ფურცელი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს  
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი შენგელია